



## მოსკოვის საპატრიარქოს საზღვარგარეთის დანესებულებათა სამმართველოს ხელმძღვანელი ბოლონიას ეწვია



2021 წლის 3 აგვისტოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეგზარქოსი, კორსუნისა (ხერსონის) და დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი ანტონი, რომელიც იტალიაში სამუშაო ვიზიტით იმყოფება, ბოლონიას ეწვია.

ქალაქის ცენტრალური რკინიგზის სადგურზე იერარქს დახვდნენ ვიკარიული მღვდელთმთავარი – ბოგოროდის ეპისკოპოსი ამბროსი, მთავარანგელოზი გაბრიელისა და ზეციური მთავარსარდალ მიქაელის სახელობის ტაძრის სამრევლოს წინამძღვარი ქალაქ როვერეტოში დეკანოზი იოანე გრებენოსუ და წმინდა ბასილი დიდის სახელობის ტაძრის სამრევლოს წინამძღვარი ქალაქ ბოლონიაში მღვდელმონაზონი სერაფიმე (ვალერიანი).

იმავე დღეს მიტროპოლიტმა ანტონიმ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი

მოილოცა, რომელიც რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ადგილობრივმა ეპარქიამ მოსკოვის საპატრიარქოს იტალიურ სამრევლოებს ადმინისტრაციული საჭიროებისათვის გადასცა.

ეპისკოპოსმა ამბროსიმ მეუფე ანტონის უამბო ტაძრის ისტორიაზე, მასში და მის მიმდებარე შენობებში ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებზე, ასევე სამრევლოს კომპლექსის გამოყენების მომავალი გეგმების შესახებ.

შემდეგ მწყემსმთავრებს ჰქონდათ ხანგრძლივი საუბარი, რომლის მსვლელობისაც განიხილეს მრავალრიცხოვანი პრაქტიკული საკითხები, რომლებიც უკავშირდება იტალიაში მცხოვრები მოლდოვეთის დიასპორის სულიერ დაპურებას.

მიტროპოლიტი ანტონი ასევე ესაუბრა ტაძარში მსახურ სასულიერო პირებს და ლოცვა-კურთხევა გადასცა მრევლს.

ვიზიტის დასრულებისას მიტროპოლიტი ანტონი და ეპისკოპოსი ამბროსი ეწვივნენ წმინდა ბასილი დიდის სახ. ტაძარს, სადაც განსასვენებელი ლოცვა აღავლინეს სამრევლოს ნეტარხსენებული დამაარსებლის – არქიმანდრიტ მარკოზისთვის (დავიტტი). მეუფე ანტონი ასევე ესაუბრა წინამძღვარს – მღვდელმონაზონ სერაფიმეს (ვალერიანი) – სამრევლო ცხოვრების მიმდინარე საკითხებზე.

*სსკვ-ს კომუნიკაციების სამსახური*

*იტალიაში მოსკოვის საპატრიარქოს სამრევლოების ადმინისტრაციის ინფორმაციის მიხედვით*